II კლასი **ოლიმპიადა ,,განთიადი”** დაზოგე დრო!

სახელი , გვარი , ტელეფონი_____

სკოლა_____

მათემატიკა

ამოცანები, რომლებიც ფასდება 3 ქულით

1. რომელი ფიგურაა დახაზული ?



ა) შვიდკუთხედი ბ) რვაკუთხედი

გ)ცხრაკუთხედი დ) ექვსკუთხედი

2. უმცირეს ორნიშნა რიცხვს მიუმატეს ოთხი ათეული და გაორმაგეს. რა რიცხვი მიიღეს?

ა) 60 ბ) 50 გ) 90 დ) 100

3. საქართველოში მურა დათვი ბინადრობს , რომელსაც ზამთარში 6 კვირა სძინავს. რამდენი კვირა სძინავს მურა დათვსა და მის შვილს ?

ა) 12 კვირა ბ) 6კვირა

გ) 13 კვირა დ) 15 კვირა

ამოცანები, რომლებიც ფასდება 5 ქულით

4. კრუხმა, როდესაც რამდენიმე წიწილა გამოჩეკა, გამოსაჩეკი ,დარჩა 15 კვერცხი. რამდენი წიწილა გამოჩეკა კრუხმა თუ მართა ბებომ კრუხს 26 კვერცხი დაუდო ?

ა) 10 ბ) 11 გ) 12 დ) 14

5. ახალციხელმა მოსწავლეებმა ქუთაისელ მოსწავლეებს გაუგზავნეს ოცდაოთხი წიგნი. ერთ ამანათში 8 წიგნი ეტეოდა . რამდენი ამანათი მიიღეს ახალციხელმა მოსწავლეებმა ?

ა) ერთი ბ) ორი გ) სამი დ) ოთხი

ამოცანები, რომლებიც ფასდება 7 ქულით

6. ლუკამ იფიქრა და აღმოაჩინა , რომ თუ ის ორ პატარა ბურთს იყიდის უნდა გადაიხადოს 16 ლარი, ხოლო თუ დიდ ბურთს იყიდის 24 ლარს გადაიხდის . რამდენ ლარს გადაიხდის ლუკა ერთ დიდ და ერთ პატარა ბურთში?

ა) 28 ლარს ბ) 32 ლარს გ) 20 ლარს დ) 18 ლარს

7. რომელია კანონზომიერების მეოთხე წევრი ?

2 < 3 ; 12 < 13; 22 < 23 ; ……

ა) 32 < 33 ბ) 42 < 53 გ) 52 < 63 დ) 62 < 73

8. თუ ავზში ჩაასხავენ 13 ვედრო წყალს ის ნახევრამდე გაივსება , რამდენი ვედრო წყალი იქნება ზედმეტი თუ 30 ვედრო წყალს ჩაასხავენ ?

ა) 2 ვედრო ბ) 1 ვედრო გ) 3 ვედრო დ) 4 ვედრო

ამოცანები, რომლებიც ფასდება 10 ქულით

9. სამი მშვილდოსანი თამარი , შოთა და ნინი ერთმანეთს ისრით სროლაში ეჯიბრებიან. მათი შედეგები ასეთია.



ვინ დააგროვა ყველაზე მეტი ქულა?

ა) თამარმა ბ) შოთამ გ) ნინიმ

დ) სამივემ ტოლი რაოდენობის ქულა დააგროვა

თევზაობა

10. გიგა , გოგა და გურამი ძმები არიან, ისინი ყოველ კვირა დღეს სათევზაოდ მიდიან.

1) გიგამ დილით ხუთი თევზი დაიჭირა , საღამოს კი 12-ით მეტი. 3 თევზი კი მეგობრებს მისცა.

2) გოგამ დილით 8 თევზი დაიჭირა , საღამოს დილით დაჭერილი თევზების რაოდენობა გაორმაგა, აქედან 4 მდინარეში გაუშვა.

3) გურამმა თევზაობა შუადღისას დაიწყო და 12 თევზი დაიჭირა , საღამოს კი 7. აქედან 9 თევზი თავის სამ მეგობარს გაუნაწილა.

ძმები საღამოს სახლში დაბრუნდნენ და დედას მოუყვნენ, თუ როგორ ითევზავეს . მე 14 თევზი მოვიყვანე - თქვა გიგამ, მე 12 - დაამატა გოგამ , მე 10 - თქვა გურამმა. ვინ იყო მართალი ?

ა) გიგა ბ) გოგა გ) გურამი დ) სამივე



ქართული ენა

ცირკში

შაბათია. ორი აპრილი. შუადღის სამი საათი. კაშკაშა მზეა. გიორგი და ნია ცირკში არიან. მათ ნახე მაიმუნი, სპილო, ვეფხვი, ლომი და ცხენები. ბავშვებმა ძალიან გაიხარეს.

ტექსტის მიხედვით უპასუხე კითხვებს

(ქვემოთ მოცემული დავალებები ფასდება 3 ქულით)

1. რამდენი წინადადებაა ტექსტში?

ა) ოთხი; ბ) ხუთი; გ) ექვსი; დ) შვიდი.

2. ტექსტის მიხედვით წელიწადის რომელი დროა?

ა) გაზაფხული; ბ) ზაფხული; გ) შემოდგომა; დ) ზამთარი.

3. კვირის რომელ დღეს იყვნენ ბავშვები ცირკში?

ა) ორ აპროლს; ბ) შუადღეს; გ) შაბათს; დ) გაკვეთილების შემდეგ.

(ქვემოთ მოცემული დავალებები ფასდება 5 ქულით)

4. რომელია ტექსტის ბოლო სიტყვა?

ა) გაიხარეს; ბ) ცირკში; გ) შაბათია; დ) არიან.

5. რომელი სიტყვაა ისეთი, რომლის მარცვალთა გადანაცვლებით მივიღებთ ახალ სიტყვას?

ა) დეიდა; ბ) სათითე; გ) თითა; დ) თუთა.

(ქვემოთ მოცემული დავალებები ფასდება 7 ქულით)

6. რომელი სიტყვა შედგება ყველაზე ცოტა მარცვლისაგან?

ა) ქარი; ბ) ხვნა; გ) ავი; დ) ნავი.

7. რომელ სიტყვაშია **ლა** მარცვალი მეორე ადგილას?

ა) სალამური; ბ) ლამაზი; გ) მაღალი; დ) ლალი.

8. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი სიტყვა შედგება ორი სიტყვისაგან?

ა) სახელური; ბ) ხეხილი; გ)სათუთი; დ) სათაგური.

(ქვემოთ მოცემული დავალებები ფასდება 10 ქულით)

9. მოცემულია ჩამონათვალი, შემოხაზე ის, რომელთაც დაესმით კითხვა **ვინ?**

ა) ბიძა, ბებია, შაქარი; ბ) დედა, მამა, ბიბლიოთეკა;

გ) გიორგი, სამსახური, მასწავლებელი; დ) თათია, კლასელი,ბიბლიოთეკარი

10. ჩამოთვლილთაგან რომელს ეწოდება წინადადება?

ა) მე ჟირაფი. ბ) ჩვენ სკოლაში გზა. გ) ლომმა ნამცხვარი გამოაცხო.

დ) მე შენ და რა.